სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

7.04.2023

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ინფრა ინვესტი“ (ს/კ: 405387184) გეგმავს ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. კოჭბაანის მიმდებარედ, ხელოვნური ტბების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში ნაკვეთის შუაგულში დაგეგმილია სარეკრეაციო ზონის მოწყობა ტბორების სახით, რომელის მიმდებარედ გადაადგილება შესაძლებელი იქნება ველოსიპედებით. სარეკრეაციო ზონის მოწყობა გულისხმობს, ტბორების გარშემო ტერტირიის კეთილმოწყობას, ტერიტორიის რეკულტივაციას, დაირგვება სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის, მე-9 პუნქტის, 9.9 ქვეპუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ3-ზე მეტია) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შპს „ინფრა ინვესტი“ (ს/კ: 405387184) წარმოგიდგენთ ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. კოჭბაანის მიმდებარედ, ხელოვნური ტბების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „ინფრა ინვესტი”-ს დირექტორი

ზურაბ ჯიქია

INFRA INVEST 405387184 GEORGIA. "INFRA INVEST" LLC

ს.ს.ი.ა. გარემოს ეროვნული სააგენტო
„07“ 04 2023 წ.
№ 3011